სხვა-კი არაფერი იცოდა ვასილმა და ეგონა კიდევ, რომ მეტი აღარაფერი ცოდნის შეძენა არაა მისთვის საჭირო... და მთელი თავისი სიცოცხლე იმაზედ ფიქრობდა და იმას ცდილობდა, რომ სიარულის დროს დიდი ხმაურობა არ აეტეხნა, ელაპარაკა დაბალი ხმით, მაგრამ გასაგებათ; თავაზიანათ და მარდათ ჩამოერთმია ბატონებისთვის საცმელი, ნელა გაეღო და დაეხურა კარი და თავის დროზე გაეწოდებინა ხელი საჩუქრისთვის... აი რაში მდგომარეობდა მთელი მისი ცხოვრება და მალე გახდა ისიც ისეთივე, როგორც იყო მისი მამა და როგორც არიან ყველა ლაქიები,—რღაც უპიროვნო, უმნიშვნელო არსებათ. ის იდგა დღე და ღამ ერთ ადგილას და მუდამ ასრულებდა ერთსა და იმავე მოვალეობას...

დაბერდა, მოუძღურდა, იგრძნო, რომ აღარ შეუძლიან განუწყვეტლივ ფეხზე დგომა, უძილობა, მუდამ თვალ-წარბში შეყურება შინაურის, თუ უცხოის.

ერთ საღამოს, ვასილმა, როდესაც ჩამოართვა თავის ბატონს პალტო და დაჰკიდა მოწიწებით ჩამოსაკიდზე, გაუბედავით მიმართა მიმავალს: „თქენო ბრწყინვალეებავ!“... ბატონი ის იყო უნდა შესულიყო თავის ოთახში, მოტრიალდა და გაკვირვებით შეხედა მსახურს. ეს უკანასკნელი გამოიქიმა, რამდენადაც შეეძლო მის

მოხრილ წელს, თვალი თვალში გაუყარა ბატონს და ნაწყვეტ—  
ნაწყვეტათ წარმოსთქვა: მე... აღარ შემიძლიან... მოვხუციდი,  
თქვენო ბრწყინვალეებავ... ბატონმა პირველათ ვერ გაიგო, რის  
თქმა უნდოდა ლაქიას, ეგონა, უსიამოვნება მოსვლია სხვა მოსამსა-  
ხურესთანო, ან ფულს თხოულობს რისამე სასყიდლოთო, მაგრამ  
ბოლოს მიხვდა, საქმე რაშია ც იყო. ერთი შეხედა ლაქიას, ბო-  
ლოს თავი დაღუნა ძირს და მცირე ფიქრის შემდეგ, უპასუხა:  
„ააა.. კარგი, შემდეგ მოვილაპარაკოთო.“ მაღლაძემ მიმავალს ბატონს  
მძიმეთ თავი დაუკრა. სამი საათის შემდეგ ვასილი დაიბარეს კანტო-  
რაში და გაუსწორდნენ. იმავ საღამოთი გაჩნდა სახლში ახალი  
ლაქია და ჩვენი მოხუცი მეორე დილას წავიდა ბატონის სახლი-  
დან.

არ ეგონა მოხუც ლაქიას, რომ ასე ადვილათ გადასწყდებო-  
და მისი წასვლის საქმე; ის ფიქრობდა და სიამოვნებდა იმით, რო-  
გორ გამოეთხოვებოდა ბატონებს, რომელნიც, რასაკვირელია სთხოვ-  
დნენ მას დარჩენილიყო ისევ მათთან, თუ ნებით არა, ძალით დას-  
ტოვებდნენ ძველ მსახურს, რომელმაც ამ ერთ ოჯახში გაატარა  
თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე, შეეჩვია ყველას, შეიყვარა  
ყველანი... მაგრამ... ის-კი თურმე არვის ჰყვარებია და მას არვინ  
შესჩვევია; არავისთვის საჭირო არ იყო ის, მაზედ სრულებით არ-  
ვინ ფიქრობდა, არც-კი ჰკითხა არვინ—სად მიდიოდა, რას აპირებ-  
და, ჰყავდა, თუ არა ნათესავი, ვისთან ფიქრობდა თავის შეფარე-  
ბას და სხვა...

ნათესავი მართლა ჰყვანდა მაღლაძეს: ის იყო მისი ძმის შვი-  
ლი, ახალგაზდა უმაწვილი-სოფლის მასწავლებელი. სულ ორი წე-  
ლი იყო რაც მასწავლებლობდა იგი. რამწავსაც ადგილი იშოვა,  
მაშინვე შეატყობინა თავის ბიძას, სთხოვა დაენებებინა ლაქიაო-  
ბისთვის თავი, რადგანაც აღარ შეეძლო მოხუცებულობის გამო  
შრომის ატანა, და გადასახლებულიყო მასთან. ვასილმა მიიღო,  
თუ არა მაშინ ეს წერილი, გაეშურა ნაცნობ მეღუქნისკენ, რო-

მელსაც წააკითხა წერილი. ესიამოვნა მოხუცს ძმის წულის ალაგის შოვნა, მისი ზრუნვა მოხუც-ბიძაზე, მოაგონდა სამშობლო სოფელი და თვალები სიხარულის ცრემლით აღვესო... მაშინ ვასილი მაინც არ დათანხმდა ძმის წულთან წასვლაზე, არ მოინდომა თავის „კარგი ბიჭიკოს“ შეწუხება, მაგრამ ეხლა-კი... გადასწყვიტა და გაუღვა გზასაც....

ვასილის ძმის წული—მასწავლებელი გიორგი დაფიქრებული იჯდა თავის სკოლის ეზოში, სახეზე დაღლილობა ეტყობოდა, სჩანდა ის იყო გაეთავებინა გაკვეთილები და ყუდროზე გამოსულიყო დასასვენებლათ. როგორც მომეტებული სოფლის სკოლები, ესეც მოთავსებული იყო უხვირო პატარა ფაცრის შენობაში; ზემოდან ეხურა ჩალა, რომელსაც არა ერთხელ აშლიდა ხოლმე ძლიერი ქარი და მონაგავდა ეზოს. პაწია ფანჯრებიც ვერ აძლევდა სკოლის ოთახს საჭირო სინათლეს.

რამდენჯერ გაცხარებული მეცადინეობის დროს წამოუშლია მოულოდნელათ ბაღლები ქერიდან ჩამოსულს წვიმას, ხან კიდევ მოუსვენარ ქარს ძლიერად შემოუჯახუნებია დანჯღრეული კარები და დარეცია ბავშვების წიგნებს და რვეულებს... მაგრამ გიორგი, ამ პირობებში მყოფი, მაინც გულს არ იტეხდა, სულით არ ეცემოდა, ხალისს არ ჰკარგავდა, არ ზოგავდა ძალ-ღონეს პაწია ბავშვების რიგთან აღსაზრდელათ... სკოლის გვერდზე გააკეთა პატარა ბაღი, ჩარგო ხეები, სთესდა ყვავილებს, მოჰყავდა ბოსტნეულობა, ასწავლიდა შევირდებს მცნობას და საზოგადოთ ბაღის შემუშავებას...

საღამო მოახლოვდა. ჩვენი მასწავლებელი ისევ უძრავათ იჯდა; მას თითქოს გადავიწყებოდა, რომ უსადილო იყო. უცებ მოისმა შორიდან ეტლის ხმაურობა. ვინ უნდა იყოს ნეტა მგზავრი და ვისთან მიმავალი, გაიფიქრა მასწავლებელმა. მას არ ჰყვნდა არავინ, გარდა ერთი ბიძისა და ისიც ძალიან შორს იყო მახედ. თუმცა გიორგიმ, როცა ადგილი იშოვა, მოიხმო თავისთან საცხოვრებლათ, მაგრამ მას აქეთ წერილის პასუხიც არ მიუღია... ხმაურობა

თან და თან მოახლოვდა და აგერ გამოჩნდა თვით ეტლიც ვიღაც ერთი მგზავრით.

ვასილი მალლადე სიამოვნებით გადაჰყურებდა დიდი ხნის უნახავ სოფლის არე-მარეს, სტკებებოდა თვალ-უწვდენელ ველ-მინდვრების მზერით, ხარბათ ეწაფებოდა ხოფლის წმინდა ჰაერს. რამდენი ხანია, რაც მას თვალით არ უნახავს სოფელი, აღარ დამტკებარა მისი მყურდროებით...

— კინალამ გავცდით, აგერ სკოლა და თქვენი ძმის-წულიც, წამოიძახა მეეტლემ, მსწრაფლ გადმოხტა ეტლიდამ და მიიღრინა მასწავლებელთან შემდეგი სიტყვებით: თქვენო კეთილ შობილებავ, ბიძა მოგიყვანეთ!

გიორგი გამოიჩქვამდა ფიქრებიდან, ფიცხლავ წამოხტა და დააცქერდა მგზავრს.

— ბიძა, თქვენ? ასე მოულოდნელათ?

— გოორგი, შენა ხარ?

წამოიძახეს ორივემ ვრთად და გადაეხვივნენ ერთმანეთს ბიძა-ძმის წული... აღარ გავაგრძელებ მათი შეხვედრის ამბავს, ვიტყვი მხოლოდ, რომ მოხუცს ცრემლები ახრჩობდა და ხმის ამოდებას ვეღარ ახერხებდა.

უფრო მეტი სიამოვნება იგრძნო ვასილმა, როდესაც საღამოს ჩაწვა მისთვის მომზადებულ რბილ, სუფთა ლოგინში, ახლა კი დარწმუნდა, რომ დღეიდან ბოლო მოეღო მის ძალს—უმაღურს ცხოვრებას, რომ ისიც ეხლა აღამიანთა რიცხვში ჩაითვლება და დანარჩენს სიბერის დღეებს თავისუფლათ, მოსვენებით გაატარებს...

მართლაც მალლადესთვის სულ ახალი ცხოვრება დაიწყო. აქამდის არაფერი არ იცოდა, გარდა ლაქიაობისა, არც-კი გასცილებია სამოსამსახურო ოთახს, ქალაქში ძალიან იშვიათათ გადიოდა, ეხლა-კი, ვასილის თვალწინ, როგორც ხელის გულზე, გადაშლილია მთელი ქვეყნიერება თვით მომხიბვლელი ბუნებით.

მალღამე ხანდახან აძლევდა ძმისწულს ისეთ კითხვებს, რომელიც წინათ არასოდეს არ მოსდიოდა ფიქრათ.

სიჩუმეა, მყუდროება, სძინავს სოფელს; მთვარეს თავისი სინათლით მოუცვავს არემარე და თავის ვარსკვლავებით თავს დაჰყურებს მას...

— გიორგი, ბევრია ცაში ვარსკვლავები, ისე ბევრი, რომ მათი დათვლაც-კი არ შეიძლება?-ეკითხება ვასილი მასწავლებელს. გიორგიც გაუბამს ლაპარაკს ვარსკვლავებზე და სხვა მნათობებზე, ჟხნის ყველაფერს, რაც კი რამ გაუგებარია მოხუცისათვის, რომელიც აღტაცებით უსმენს და უსმენს, და მის წინ იშლება სულ ახალი, სასურველი ცხოვრება...

— რისგან არის, შვილო, ქუხილი, ელევა, მეხი? საიდან წარმოსდგება?

გიორგი იწყებს ახლა ამის ახსნას, არ სტოვებს არც ერთ მის კითხვას უყურადღებოთ, უბასუხოთ. ესმის ვასილს ყველაფერი, გამოუთქმელი სიყვარულით შესცქერის ძმისწულს და აღარებს მას თავისთან და სხვა, თავისებ გაუნათლებლებთან და ნათლათ ხედავს იმ განსხვავებას, — იმ უფსკრულს, რომელიც არსებობს გიორგისა და მათ შორის, და ენანება თავისი თავი, წარსული, სიბნელით მოცული თავისი ცხოვრება, ებრალება სხვები, წყვედიადთ მოცულ ცხოვრებაში ჩაფლულნი, დღემდის უსინათლოდ დარჩენილნი და გული უკვნესის...

სწავლა... მეცნიერება... ჩურჩულებს თავასთვის მოხუცი, მაგრამ ჩვენ კაცს რომ არ უყვარს სწავლა!.

ყური მოჰკრა უცებ გიორგიმ ბიძის უკანასკნელ სიტყვებს, მწარეთ გაიღიმა და მიაშტერა მოხუცს თავისი დიდრონი, გონიერი თვალები. — როგორ არ უყვარს ჩვენ კაცს სწავლა, აბა ნახე, შემოდგომაზედ მლოცავებივით მომადგებიან და იწყებენ ხვეწნამუდარას: - ჩემი შვილიც მიიღე, ჩემი შვილიცო. მაგრამ ეს არის უბედურება, რომ ადგილი არა მაქვს, მეტი სივიწროვეა სკოლაში.

— რატომ არ გააკეთებენ გლეხები სკოლის შენობას! შენი-  
შნა ვასილმა.

ისევ იმ ნადვლიანმა ღიმილმა გადურბინა სახეზე ახალგაზდა  
კაცს, შუბლზე ხელი გადისვა და ამოიხვრით უბასუხა ბიძას:— ჰმ!  
მეც მაგრე მეგონა წინად, მაგრამ ეხლა კი, რაკი ახლო გავიცან,  
დავაკვირდი გლეხის ცხოვრებას, კარგათ დავინახე ის გაქირებული,  
აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა და იმყოფება  
იგი! შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი. ყველასგან და ყოვე-  
ლი მხრივ შევიწროვებულნი, სად შეუძლიანთ სკოლისთვის შენო-  
ბის აგება! მიმოიხედეთ გარშემო, დაინახეთ მათი ქოხები, ჩაიხედეთ  
მათ ცხოვრებაში!...

ორივენი გაჩუმდნენ. თვითონ მათგანი ფიქრმა შეიპყრო...

— აი რა გითხრა, უთხრა ბიძამ გიორგის მხარზე ხელის დადებით:  
— მე ჩემი სამსახურით შეძენილი მაქვს სამასი თუმანი ფული; მოგ-  
ცემ შენ ამ ფულს და ააშენე სკოლისთვის შენობა. ჩემი ჯამა-სმა  
შენ კისერზე იყოს, ტანისამოსი-კი, რაცა მაქვს, მეყოფა სიკვდი-  
ლამდის.

— კარგი... მეტის თქმა ველას მოახერხა აღელვებულმა მასწავ-  
ლებელმა. ორივეს თვალებზე ცრემლები მოადგათ...

ორი კვირის შემდეგ იწყეს კადეც შენობის აგება- ვასილი  
თითონ არჩევდა, ყიდულობდა მასალას, ეშინოდა არ დაჰკლებოდა  
ფული, ხინჩობდა თითო კაპეიკზე, თვალყურს ადევნებდა ხელოს-  
ნებს. შემოდგომისთვის შენობა მზად იყო. სოფელმა ამოიჩინა  
მალღაძე სკოლის მზრუნველათ. აგერ გადინადეს კადეც ახალ  
შენობაში პარაკლისი და დაიწყეს სწავლა. ვასილი მალღაძე ყვე-  
ლაზე უწინ შევიდა კლასში და გამოიქიმა პირველ სკამზე სასწავ-  
ლებლათ— რისთვის, იკითხავს მკითხველი— იგი დღეიდან გახდა  
შეგირდი, მიუხედავად იმისა, რომ ამავე დროს სკოლის მზრუნვე-  
ლიც იყო. დიდი ყურადღებით ისმენდა მოხუცი შეგირდი კლასში  
ნალაპარაკებს, სწავლობდა მოცემულ გაკვეთილებს.

რამდენიმე თვის შემდეგ მშვენივრათ ისწავლა წერა-კითხვა....

ცოტა არ იყოს უძნელდებოდა ცხოვრება ბიძა-ძმის წულს: გიორგი იღებდა ჯამაგირს მხოლოდ 20 მანეთს თვეში და განა შეიძლებოდა ორ სულს ამ ჯამაგირით გაუჭირებლივ ეცხოვრათ! მაგრამ ისინი მაინც არ ჩიოდენ ამაზე, ითმენდენ ბევრჯელ შიმშილს, არავის ემღურებოდენ, არვის შესჩივოდენ და მათი მომღურავიც მთელ სოფელში არცინ მოიპოვებოდა:

ვასილმა შეასრულა უკვე თავისი ვალი და კმაყოფილია მითი. გიორგი გატაცებულია თავის ბავშვებით: ჩასჩინებს მთელ დღეებს, აყენებს მათ სიმართლის გზაზე, უნერგავს პატარა გულეებში თავისუფლებისადმი სიყვარულს, ამზადებს თავისუფლებისათვის მომავალ მებრძოლთ.

ქეთო ზარათიშვილი.



## უბულო გავუი.

(მოთხრობა მანკომერისა)



IV\*)

ილლის სძინავს და სიზმარში ხედავს ვითომ ერთ მაღალ გორაკზე ზის ჯორჯთან ერთად და მინდვრის ყვავილებით ლამაზ გვირგვინს წნავს. მაგრამ კოლოები არ ასვენებენ და ყოველ წამს სახეზე აჯდებიან. ვილლი იგერებს მათ, აქნევს ხელებს, თავს, არაფერი არ უველის, კოლოები სულ ეხვევიან და ეხვევიან. ბოლოს ჯორჯს მიმართა და უველა თხოვა. ამ დროს ისეთმა ქარმა დაჰბერა, რომ ვილლი წააქცია. ის ჩამოგორდა გორაკზედ და... გამოედვიდა. გორაკი და მინდვრის ყვავილები გაჰქრენ. დარჩა მხოლოდ ჯორჯი, რომელიც ვილლის ლოგინიდან მოათრევდა.

— მადლობა ღმერთს! — წაიბუტბუტა ჯორჯმა. — ძლივს არ გავადვიდე! რა არ მოვიგონე, სუხრის ნამცეცებსაც გესვრიდი სახეში, სულსაც გიბერავდი ყურში, კიდევ განჯღრევიდი რაც ძალი და ღონე მქონდა... ისე დავიღალე რომ მეტი არ შეიძლება, თან მეშინოდა, ვირჯინის არ გამოლვიებოდა... ნელა, ნელა, არ გააღვიძო, შეხედე, ინძრევა!

— რა იყო ჯორჯ? — თვალების ფშვნეტით ჰკითხა ვილლიმ. — რატომ ამდგარხარ ამ შუალამისას?

— შუალამისას! — გაცინა ჯორჯმა. — გაიხედე ეგერ დარაბის ნახვრეტში: სულ სინათლეა! მე მამლების ყივილზე გამომეღვიდა და სულ ველოდი, როდის გათენდებოდა.

სანამ ჯორჯი ლაპარაკობდა, ვილლი ისევ დაეშვა თავის ბალიშზე.

— ვილლი! ვილლი!-სასოწარკვეთილებით დაუწყა ყურში ფურჩული ჯორჯმა.

— ღამე მშვიდობის, ჯორჯიკო! ძილში წაიბუტბუტა ვილლიმ.

— როგორ? ისევ იძინებ?

— არა, არ ვიძინებ!-უპასუხა ვილლიმ და დაიძინა.

— როგორ არ იძინებ; აბა ევ რა არის?-წამოიყვირა ჯორჯმა. ვილლის საქციელმა ისე გაამწარა, რომ სიფრთხილედ კი დაავიწყა.

— არ ვიძინებ.-გაიმეორა ვილლიმ და ამოთ სცადა დამძიმებული თვალები გაეხილა.

დიდმა ლოგინმა დაიჭრიჭინა და ჯორჯმა მაშინ მიაპყრო თვალები ვირჟინის, რომელიც მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ვილლიმ ისარგებლა იმით, რომ ჯორჯმა ერთი წუთით თავი დაანება და ხელმეორეთ ტკბილათ ჩაიძინა.

— გაიღვიძე, გაიღვიძე!-ისევ ფურჩულით ჩააცვიდა ჯორჯი. ვილლი წამოხტა და დაჯდა თავის პატარა ლოგინზე.

— რა იყო, ჯორჯ?

— რა იყო და დაგავიწყდა მე და შენ რომ გადავწყვიტეთ აღრე ავმდგარიყავით და სოკოებზე წავსულიყავით?

ვილლის გაახსენდა ეს გადაწყვეტალება. მაგრამ ახლა სოკოებზე წავსლა მას ბევრათ უფრო ნაკლებათ იზიდავდა, ვიდრე მაშინ, როდესაც ჯორჯს დაპირდა წამოვალო.

— ეჰ დავანებოთ იქ წავსლას თავი, ჯორჯ!-ხვეწნით წაიბუტბუტა მან.

— დი-იიახ!- უპასუხა ჯორჯმა.-აგერ ნახავ, რას იტყვი მერე, როცა მინდორში გავალთ! ადექი, ადექი, ჯერ შენ მოგეხმარები ჩაცმაზე და მერე მე თითონ ჩავიცვამ. ადექი მალე! მშვენიერ გუნებაზე დადგები როცა ადგები, აგერ ნახავ თუ არა!

საწყალი ვილლი მზათ იყო ატირებულიყო.

— მეძინება!-საცოდავთ წაიბუტბუტა მან.

— არაფერია, ახლავე გაგივლის ძილი!-ანუგემა ჯორჯმა და საბანი გადააძრო.

— არ ეჯობინება ხვალ რომ წავიდეთ, ჯორჯიკო?

ეს კითხვა ჯორჯს აღარც კი გაუგონია. ის გამწარებული ეძებდა ვილლის ჩულქებს და ფეხსაცმელებს. როცა ბოლოს დაბრუნდა მის ლოგინთან, სასოწარკვეთილებით დაინახა, რომ ვილლი ისევ დაწოლილიყო.

— რა უნდა ვქნა!-წყენით წაილაპარაკა ჯორჯმა. მაგრამ უცებ თავში მშვენიერმა აზრმა გაურბინა და სწრაფად გაჰქანდა ოთახის მოშორებულ კუთხისაკენ.

ვილლის ძილში რალაც საექვო წყლის ჭყაბუნი მოესმა, გამოახილა თვალები, წამოჯდა—და შიშის ზარი ეცა. ჯორჯი მის ლოგინისაკენ ვეებერთელა სურა წყალს მოათრევდა.

— რას უვები, ჯორჯ?-აჩქარებით ჰკითხა მან.

— აგერ ნახავ!-დამშვიდებით უბასუხა ჯორჯმა, რომელიც მთლათ იხრებოდა და ისევ მოათრევდა მიძიმე სურას.—ადამიანის გაღვიძება თუ გინდა—საუკეთესო საშვალემა წყლის გადასხმაა. ამიტომ...

— არა, არა, ჯორჯ,-სწრაფად წამოიძახა შეშინებულმა ვილლიმ.-მე გამეღვიძა, სულ, სულ გამეღვიძა! შემიხედე, რა მხიარული თვალები მაქვს!-ბავში წამოხტა და ერთი ორათ გააფართოვა თავისი ისეც დიდი ლურჯი ნამძინარევი თვალები.

ჯორჯი ამით დაკმაყოფილდა და სურა იქვე, იატაკზე დადგა. ვილლი ბევრათ უფრო დამშვიდებულათ გრძნობდა თავის თავს, რომ სურა თავის ადგილზე მდგარიყო, ამიტომ ძმას მოკრძალებით გამოუტხადა, მოგეხმარები და უკან წავალბინებო.

— არა, აქ იყოს!-მოკლეთ მოუქრა შეუბრალებელმა ჯორჯმა. -თუ არა ვაი თუ ისევ დაგეძინოს!

დაიწყეს ჩაცმა.

ჯორჯმა უბრძანა ვილლის, ჩულქები ჩაიცვია, თითონ კი ჯერ თავის თავზე იზრუნა. მალე ჩაიცვა ყველაფერი და ძმას მიუბრუნდა. ძმა ძალიან გაჭირვებაში დახვდა. ცალი ჩულქი ჩაეცვა, მეორე კი ქუსლამდის ჩასცმოდა, ზევით კი არაფრით აღარ ამოდიოდა.

— ვერაფერი ვერ მოვუხერხე!-შესჩივლა ვილლიმ.

— არაფერია, მე ჩაგაცმე!-დაამზვიდა ჯორჯმა და ისე გამოსწია ჩულქს, რომ ვილლი კინაღამ ღოგინიდან გადმოაკოტრიალა. ჩულქი როგორც იქნა ჩაეცვა ბავშვს, მაგრამ... უკუღმა.

— რა უშავს!-გადაწყვიტა ჯორჯმა, როცა შენიშნა, რა განცვიფრებით უყურებდა ვილლი თავის ფეხს, რომელიც რაღაც ბანჯგვლიანი ჩანდა და რომელსაც ყოველ მხრით რაღაც ძაფები ეკიდა.-წაღები? წაღები სად არის?

მათი წაღები, წუხელი რომ გასაწმენდათ წაეღოთ, ჯერ არ მოეტანათ.

— პატარა ფეხსაცმელები ჩაეცვათ!-გადაწყვიტა ჯორჯმა და ერთ წამსაც არ უფიქრია იმაზე, თუ როგორი მოსახერხებელი იყო ნამიან მინდორ-ველზე თხელი, პატარა ფეხსაცმელებით სირბილი.

ნამდვილი გაჭირვება მაშინ დადგა, როცა საქმე ზორტების შეკვრაზე მიდგა.

— მოდი ყველა ეს ზორტები მაგრათ დაიკავე ორივე ხელით!-ბოლოს ურჩია ძმას ჯორჯმა.-მე ამ დროს ზევიდან ბლუზას გადავაცმევ და ყველაფერს ერთათ მაგრათ შეეგკრაფ ქამრით.

ვილლი ამაზედაც დათანხმდა, როგორც ყველაფერზე, რასაც უფროსი ძმა ურჩევდა, მით უფრო რომ არჩევანში მარტო ორი რამ ჰქონდა: ან ასე ქამრით ყველაფრის შეკვრა, ან დიდი უშველემელი ქინძისთავი, რომლითაც ჯორჯის სიტყვით, ყველაფრის მშვენივრათ შეკვრა და დაბნევა შეიძლებოდა.

— რატომ მცოვა ნეტავი?-იკითხა უცებ ვილლიმ.-სხომის არაოდეს არ შემცინია ასე!

— ნუ კანკალობ ვილლი აგრე- თუ არა ყველაფერი ჩავვარდება!-გააფრთხილა ჯორჯმა.—აბა, დაიხურე ქუდი და გავსწიოთ.

— როგორ? პირი არ დავიბანო?-წამოიძახა გაკვირვებით ვილლიმ.

— არც მე დამიბანია! რა უშავს!-ანუვეშა ჯორჯმა.-ეს რა არის?—

უცებ წამოიძახა მან და ძირიდან პატარა თბილი ფუფაიკა აიღო.

— ეგ ჩემია.-აუხსნა ვილლიმ.

— ჰო! აი, იმიტომაც გცივა, ეს რომ არ ჩაიცვამს!-აუხსნა ჯორჯმა.-მაგრამ ახლა გვიანდა არის! აბა, მალე წავიდეთ! ბავშვები წავიდნენ და კარები ღია დატოვეს. ექვსის ნახევარი ძლივს იქნებოდა. მთელ სახლში ყველა კარები და დარბაზები დაკეტილი იყო. ყველგან ბნელოდა, მხოლოდ იქა-აქ ჭვრიტიმალღვეში მზის შუქი შემოდებოდა და რაღაც უცნაურათ ანათებდა ნაჭერ-ნაჭერ კედლებს და იატაკს. ვილლის ცოტა შეეშინდა და ის კრძალვით მიეკრა ძმას.

თავისი თავ-გადასავალი ბავშვებმა იმით დაიწყეს, რომ საკუჭნაოში შეიბარნენ და თითო კალათი წაიღეს.

ბალახი და ყვავილები სულ ნამით იყო მოშხურული; და გამოვიდნენ თუ არა პატარა ძმები ველზე, მაშინვე ფეხები მთლათ დაუსვენლათ.

პირველი სოკო დანახა თუ არა, ჯორჯი მაშინვე ალტაცებაში მოვიდა და მხიარული ყვირილით მივარდა მას, პირველი სოკოსაგან მეორესთან გადირბინა, მერე მესამესთან, მეოთხესთან... ვილლი სოკოს დანახვასაც ვერ მოასწრებდა, რომ ჯორჯი კიდევ აიყვანდა მას... ,პატარა ბავში წყენით ხედავდა, რომ ძმა სულ უფრო და უფრო სცილდებოდა მას და მალე სულ მიიმალო სად-

დაც. ვილლიმ ველს თვალი მიაგლ-მოავლო და ცოტა დამშვიდ-და. არსად სიახლოვეს არც ხარი და არც სხვა რამ საშიში არ ჩანდა. ვილლიმ სიმღერა დაიწყო და თან სოკოების აყვანას შეუდ-გა; ძალიან უკვირდა, ჯორჯს როგორ დარჩა ამდენი აუყვანელიო, მერე რა ლამაზი სოკოები იყო! სულ თეთრი, სპეტაკი [ძირებიანი, მშვენიერი, წითელი და ყვითელი თავებიანი! ვილლიმ თავისი კალათი მთლათ აავსო ამ სოკოებით და თავმომწონეთ დაჯდა ხის ძირში ძმის მოლოდინში.

ძალიან გრილოდა. და ვილლის შეცივდა. გადაწყვიტა, ვირ-ბენ და იქნება გავთბეო. ამ დროს შორს ჯორჯი დაინახა და გაე-შურა მის შესახვედრათ.

— რაცა სოკო ავიყვანე! შორიდანვე ახარა მას.-მოდი, მოდი მაღე, ნახე რა ლამაზებია!

— აბა ამასაც შეხედე!-ამაყათ უპასუხა ჯორჯმა და თავისი მძიმე კალათი ზევით ასწია.-გინახავს როდისმე ამდენი სოკო.

კალათი მართლაც მთლათ სავსე იყო. ვილლიმ პატივისცემით შეხედა ჯორჯის თეთრ-თავა აუარებელ სოკოს.

— ჩემები სულ სხვანაირია, ჯორჯ!

— ვაი თუ ბუზიკალიები აიგვანე? შეეკითხა ჯორჯი და შეჩერდა.

— არა! არა!-სწრაფად წამოიძახა ვილლიმ.-არა მგონია!-ცოტა ხანს იქით შეწფოტებით დაუმატა მან.-რა არც ბუზიკალიები?

— შხამიანი სოკოები. აქ ძალიან ბევრი იცის. სად არი შენი კალათი?

— ეგერ. ხის ძირში.

— ბუზიკალიებია!-წამოიძახა ჯორჯმა.-არც ერთი კაი სოკო არაა მთელ კალათში! გადაყარე ახლავე! შხამიანებია! ვილლის ისე შეეშინდა, რომ თავმოყვარეობაც კი გადაავიწყდა.

— კარგია რომ დროზე ნახე!-კმაყოფილებით წამოიძახა ჯორ-ჯმა.-სულ არ მოწამლავდი ყველა იმ ველსურებს, რომლებიც მამას უნდა ესტუმრონ!

— გადაყართ მალე ჯორჯ!-მთლათ გაფითრდა ვილლი.

— და კიდევ დავსრისოთ!-ურჩია ჯორჯმა.

ბავშვებმა ერთათ დააგროვეს სოკოები, შედგენ ზედ, დაიწყეს ხტომა, კვინტრიში და მანამდის სრისეს, სანამ ფეხსაცმელები და ჩულქები სულ შიგ არ ამოესვართ.

— ნეტავი რას იტყვის ვირჯინი?-სიცილით დააჩერდა თავის ფეხებს ჯორჯი.

— მართლა, რას იტყვის!-აღტაცებით გაიმეორა ვილლიმ.

— ჯორჯ, მე ხომ დღეს არ მილოცნია!-ჟცებ წამოიძახა მან.

— არც მე! მეც დამავიწყდა!-წამოიძახა ჯორჯმაც.-მოდი, ახლა ვილოცოთ!-მან სწრაფათ დაიჩოქა, მაგრამ იმავე წამს ისევ წამოხტა.

— ქუდები უნდა მოვიხადოთ, ვილლი, ქუდებით ღოცვა არ შეიძლება.

ვილლიმ ქუდის მოხდა დააპირა, მაგრამ ჯორჯმა შეაჩერა.

— მოიცა, ვილლი, ერთათ დავდგეთ, ერთი მეორეს გვერდით, ასწიე ხელი ზევით, აი, ასე. და როგორც კი მე ვიტყვი: ქუდი ძირს!-მაშინვე მოიხადე ქუდი და დაიჩოქე.

ვილლი ძმას გვერდში ამოუდგა და ხელი ზევით ასწია.

— ქუდი ძირს!-დაიძახა ჯორჯმა. ვილლიმ სწრაფათ ჩამოიგდო ქუდი და დაეშვა ძმასთან ერთად სველ ბალახზე. დააპირა ლოცვა, მაგრამ განსაცდელში ჩავარდა და არ იცოდა, რა მოეხერხებინა. ზებირათ მას არც ერთი ლოცვა არ ჰქონდა დასწავლილი, ყოველთვის მხოლოდ ვირჯინის ნათქვამს იმეორებდა ხოლმე, ჯორჯი კი რაღაც უცნობ ლოცვებს ამბობდა, თან ისე ჩქარა და გაურკვეველათ, რომ ვილლიმ ვერაფრით ვერ მოახერხა მისი აყოლა და მისი ნათქვამის გამეორება, ჯერ ვალლის არც კი გადაეწყვიტა რა ექნა, ჯორჯმა კი კიდევ გაათავა და მხიარულათ წამოხტა ზეზე. ვილლიც წამოდგა დაფიქრებული და შეწუხებული. ჯორჯმა შენიშნა ძმის უკმაყოფილება.

— მართლა, შენ ხომ ჩემი ლოცვები არ იცი-გაიხსენა მან.-  
ან კი საიდან გეცოდინება; შენ ჯერ პატარა ხარ!

— ჰო ჯერ პატარა ვარ!-მორჩილათ გაიმეორა ვილლიმ.

— მე კი ბავშური ლოცვები სულ დამავიწყდა.-აუხსნა ჯორ-  
ჯმა.-იცი, ვილლი! მოდი ნასადილევის ლოცვა თქვი! ის ხომ  
ყველაზე მოკლე და ადვილია!


— კი, მაგრამ ჯერ რომ სადილი არ მიჭამია?-შეეკითხა ვილ-  
ლი.

— მართლა!-დადონდა ჯორჯი.—სადილი კი არა, საუზმეც კი  
არ გიჭამია! ერთი სუხარი რომ მაინც შეგეჭამა, შეიძლებოდა იმ  
ლოცვის თქმა, ახლა კი.

სხვა დონე არ იყო, ჯორჯს რომელიმე თავისი ლოცვა უნდა  
ეთქმევინებინა. ის შეუღვა „მამაო ჩვენოს“ და ნელა და გარკვე-  
ვით უთხრა პატარა ძმას. ვილლიც ყოველ მის სიტყვას იმეორებდა  
ლოცვა გაათავეს, დასდენ ხის ძირში და გულმოდგინეთ  
შეუღვენ ჯორჯის აყვანილ სოკოების რჩევას და თვალაერებას.

(გაგრძელება იქნება)

ელ. წერეთელი.



სახელ განთქმული პოეტი-მეზღაპრე

ანდერსენი



სი წელიწადია მას აქეთ, რაც დანიის სახელ-  
მწიფოს ერთ-ერთ პატარა ქალაქში დაიბადა  
გამოჩენილი პოეტი-მეზღაპრე ანდერსენი.  
მთელ დედამიწაზე არ მოიპოვება არც ერთი  
ისეთი კუთხე. რომ ყმაწვილები, და თვით  
მოზრდილი თავობა არ სტკებოდეს ანდერ-  
სენის პოეტიური და მასთანვე მეცნიერული  
ზღაპრებით. ბევრი უსიამოვნობა, ბევრი  
შეურაცყ იფა და დევნა გამოიარა ანდერსენმა,  
სანამ დაადგებოდა თავის ნიჭის შესაფერ  
გზას. იმან თავისი უმანკო გულით და დარბაი-  
სული ჭკუით დასძლია ყველაფერს.

ხარაზი ანდერსენის საცხოვრებელი კუთხე-კუნჭული პატარა  
და ვიწრო იყო, მაგრამ კეთილი ცოლქმარი ტკბილათ ცხოვრობ-  
დნ. ოთახის მოწყობილობა ბევრი არა ჰქონდათ რა, მაგრამ რაც  
ჰქონდათ თითქმის ხარაზი ანდერსენის ნახელარი იყო. ყოველი  
ლურსმანი სიყვარულით და თავოსნობით იყო ჩაქედლილი მომავალ  
სადგომში, რომლის სრულ პატრონათ გრძნობდნ თავს ეს ცოლ-  
ქმარნი.

ორ აპრილს 1805 წელს ხარაზის ოჯახში ერთი არეულობა:  
აურ-ზაური იყო სიხარულის მოლოდინში. ამ დღეს ანდერსენებს

გაუჩნდათ შვილი. სახლში კვლავანდელზე უფრო ვიწროობა იყო, რადგან მელოგინეს გარშემო მეზობელი დედაკაცები ეხვიენ და სულის მობრუნებაც არ შეიძლებოდა, ისეთი ჰაერი იდგა. სახლის პატრონი სიხარულით ატაცებული იყო. ახალი დაბადებული ილაქეშაგებზე და საცოდავით ჩხაოდა. თვითონ ხარაზი თავს დასტრიალებდა ბავშს და ეცოდებოდა: ვინ იცის რა უჭირს და თქმა კი არ შეუძლიანო.— დაიძინე, პაწიავე, ცოტა მანც... ნუ ჩხავი აგრე. ეუბნებოდა ხარაზი თითქოს სასტიკათ, მაგრამ სახე სიხარულით უბრწყინავდა და თვალები უფლვარებდა.

ხარაზმა განსმა გადახედა თავის დასგას, იარაღს და თავის ხელობის მასალას, კედელზე ჩამოკიდებულ ნახატებს, თაროზე წიგნებს და ყველაფერი ლამაზათ და კარგათ ეჩვენა. ახლა მისთვის ყველა უბრალო ნივთიც კი მოსაწონი და ძვირფასი იყო ამ პატარა სულიერის გაჩენის გამო.

— აბა, ახლა ერთი ორად მეტი უნდა ვიმუშავო.— ჩაფიქრებით თქვა განსმა.— ამ ჩხაუნასთვის უნდა ცოტაოდენი ფული მოვაგროვო, რომ კაცათ გამოვიდეს და ხეირობა გზას დაადგეს, თორემ ჩემსავით უსწავლელი რაში ივარგებს....

მართლაც ბევრი გაჭირვება ენახა ამ კაცს თავის სიცოცხლეში. მარტო სიღარიბეს და სიღატაკეს ვილა ჩიოდა, რამდენი დამცირება და ნაღველი გამოველო.

ჯერ კიდევ როდესაც განს ანდერსენს ცოცხალი ჰყვანდა მდიდარი დედ მამა, ოჯახს არაფერი აკლდა, ყველაფერი ბლომით ჰქონდათ. მაგრამ ბედმა უღალატა— უბედურებას უბედურება დაერთო: შინაური საქონელი გაუწყდათ, სახლს ცეცხლი წაეკიდა და ოჯახი მთლათ განადგურდა. ოჯახის უფროსი ჰკუაზე შეიშალა, დედამ კი მოიტაცა თავისი პატარა ერთად ერთი შვილი განსი და გადავიდა ერთ პატარა ქალაქში საცხოვრებლათ.

უბედური დედაკაცი დიდ გასაჭირში ჩავარდა, ლუკმა პურის შოვნა უჭირდებოდა, ბოლოს უთხრა შვილს:

— მეტი გზა არ არი, შვილო, უნდა მიგაბარო ხარაზთან, ცხოვრება გამიჭირდა და მე რომ მოვკვდე, უფრო ცუდ დღეში ჩავარდები.

პატარა განსისთვის ეს თავზარ დამცემი ამბავი იყო. ის მამის დროს სხვა ნაირად ოცნებობდა. ყმაწვილი ნიჭიერი და გამჭირიანი იყო, ფიქრობდა გიმნაზიაში და მერე უნივერსიტეტში სწავლას და ახლა ხარაზობა მოელოდა.

ბევრი მწუხარება და უძილობა გამოიარა განსმა, სანამ ოცნებებს გამოესალმებოდა და გადასწყვეტდა თავის ერთხელ ამორჩეულ გზისთვის თავი მიენებებინა და ხარაზის ხელობას დასდგომოდა. მართალია თავს ძალა დაატანა, რომ დედას არ შეემჩნია მისი ნაღველი, მაგრამ მთელ თავის სიცოცხლეში ყოველთვის უკმაყოფილებას გრძნობდა.

ახლა, როდესაც ხარაზს მიეცა შვილი და მას უბადრუკ კუნძულს დაეტყუა სიხარული-თითონაც ცოტა არ იყოს დაცხრა, თავისი აღრინდელი ოცნებები გადიტანა შვილზე და თავის თავს ფიცს აძლევდა, რომ დღეის იქით ვცდება შვილი მაინც დააყენოს ისეთ გზაზე, როგორც თვითონ ენატრებოდა.

ამ გვარი აღამიანებიც ჩვენში იშვიათნი არიან!

ხარაზის შვილი იზრდებოდა თავისუფლათ. მოძრავი, ცოცხალი ბავში, მაინც ძალიან სუსტი აგებულებისა იყო. ჩვილი გული და პოეტიური გრძნობები შვილს მამისაგან ჩაენერგა. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მის სუსტ ძარღვებზე ტრადიკული ამბების მოყოლება-ყმაწვილი იწყობდა ცხარე ცრემლით ტირილს და მერე მოჰყვებოდა მხურვალეთ ლოცვას.

— შენ უფრო კაი ცხოვრება გაქვს, ჩემო ბიჭიკო, ვიდრე ჩვენ გქვონდა, ეუბნებოდა ზოგჯერ სიყვარულით დედა.

— მომიყევ, დედილო, მიაბზე! და პატარა განსი ეხუტებოდა დედას და ისე უგდებდა ყურს.



— მე რომ სულ პატარა ვიყავ, რომ იცოდე, რა ძნელი და აუტანელი ცხოვრება მქონდა. ჩვენ ოჯახში საშინელი სიღარიბე იყო!.. ზოგჯერ პურის ნამცეცეც არ მოინახებოდა ჩვენსა. მაშინ დედ-მამა გამომავდებდა ხოლმე კარში ამ სიტყვებით: „შენ პატარა ხარ, მოწყალეობა რომ ითხოვო, ყველა შეგიბრალებს“... ქუჩაში კი სიცივე და წვიმა იყო... მცხვენოდა კიდევ მოწყალეობის თხოვნა. გავიქცეოდი სადმე შორს, უფრო მდინარისკენ, მივიმალეოდი ხიდ ქვეშ და ისე ვიჯექ საღამომდის...

ამ ამბის გაგონებაზე პატარა განსს ჩამოსდოდა ცრემლები ღვარივით, მოხვევდა თავს პაწაწა ხელებს დედას და დაიწყებდა ქვითინს.

პატარა ანდერსენი ცნობის მოყვარე იყო: მთელი ოჯახი ფეხ-ქვეშ ჰქონდა ამოდებული, ყველგან ეჩრებოდა, უნდა ყველაფერი შეეცყო, გამოეკითხა, არაფერი არ გამოეპარებოდა.

ყმაწვილის გონება ერთგვარათ ვითარდებოდა, ყველაფერი უბრალო რამეც კი, სულ სხვანაირად ეჩვენებოდა და მისი ფანტაზია მას მალლა ზეცისკენ მიაფრენდა. უბრალო სამზარეულო ოთახი, მის თიროებზე ჩამწყკრივებული ქურქელი, კედელზე ჩამოკიდებული რაღაც უვარჯისი სურათი ყმაწვილს მოეჩვენებოდა მოჯადოებულ ცხენ-დარბაზათ შემკული გამოჩენილი სურათებით.

პატარა ანდერსენი ერთხელ ავიდა სამზარეულოდან ვიწრო კიბით სახლის ჩარდახში და რა არ მოეჩვენა ბავშს იქ? უდიდესი წალკოტი, ზღაპრული სასახლე. ოცნებებმა გაიტაცეს ისე ყმაწვილი, რომ მას თვალწინ წარმოუდგა სხვა და სხვა ქვეყნის საოცარი მცენარეები, თვათონ სასახლეში კი დამწყვდეული დევებისაგან დედოფალი.

მერე განა ჩარდახში მართლა ბალი იყო? არა, ბალი კი არა-პატარა ბოსტანი იყო. ანდერსენის დედას ჩარდახის ფანჯარასთან, წყლის მილთან, ჩამოეკიდა ფიცრის ყუთი მიწით სავსე და შიგ დავთესა: ხახვი, წიწმატი, სალათა და ასე თითქოს მთელი ბოსტანი გაჩენილიყო.

მარტლია ხარაზი ანდერსენი ბევრს მუშაობდა, მაგრამ ცოტა-ოდენ დროს მაინც პოულობდა საყვარელი შვილის გასართობათ.

რაგვარ სათამაშოებს არ უკეთებდა შვილს! ჩამოთვლაც კი ძნელია. მერე იწყებდნენ ჩაღულღას თამაშობას, იყო ერთი ამბავი-ხარხარ-სიცილი. ვინ უფრო მხიარულობდა მამა თუ შვალი ძნელი სათქმელი იყო. ბოლოს, როდესაც ესეც მობეზრდებოდათ, ჩაუჯდებოდნენ ხატვას და რაც ენახათ და არ ენახათ ყველაფერი გადაჰქონდათ ქალაღზე.

სალამოობით კი მათ ჩაბნელებულ კუნჭულში სწორეთ სამოთხე იყო: სანათური ოდნავ ანათებდა ოთახს. დიასახლისი საკერავით მოუჯდებოდა მაგიდას, დედის გვერდით პატარა განსი გამოიჭიმებოდა, პირდაპირ ჩაჯდებოდა მოხუცი განსი- ხმა მალლა კითხულობდა ხან ლაფონტენის იგავებს და ხან არაბულ ზღაპრებს.

ხარაზი ანდერსენი სალამ-სალამოობით სულ შინ იჯდა მარტო, იშვიათად თუ ვინმე მივიდოდა მასთან. თითონაც ერიდებოდა მოძმე ხელოსნებს, მათთან, როგორც განუვითარებლებთან, საერთო არა ჰქონდარა და დედ-მამა მუდამ ყმაწვილთან იყვენ. რასაკვირველია ამნაირი ტკბილი და აღწერსიანი ცხოვრება გახდიდა ყმაწვილს მეტის მეტ გულ-ჩვილს, ნაზი ხასიათისას, რომელსაც ცხოვრებაში ამისთანა გულ-უბრყვილობა სრულეებით არ გამოადგებოდა, სამაგიეროთ მწერლობაში კი ხელ საყრელი იყო. მწერალს ანდერსენს თავის აღწერილობაში იმდენი სიტკბოება და სიყვარული შეჰქონდა, რომ მკითხველი მთელ თავის სიცოცხლეში. ძნელათ თუ დაივიწყებს დამწერსაც და მის დაწერილსაც.

(შემდეგი იქნება)

ან. წერეთლისა.



### გამოცანები

(წარმოდგენელი ალ. შიუკაშვილისაგან)

ერთი რამე სულიერი  
 ბრმა არის, ვერას ჰხედავსო,  
 ციხეშია დამწყვდეული  
 გაპარვას ვერა ბედავსო.  
 მაგრამ თუ პირი მოგკიდა,  
 ის ავატირებს დედასო.  
 გატირებს და გაგამწარებს  
 და თავის თავს კი ჰკვებავსო.

მეც ვიხსენები ოჯახში  
 მცირე რამ საციქვლათაო,  
 იმდენი მტანჯეს რომ გული  
 ამომაცალეს მთლათაო;  
 ზედა მაყრიან სიმწარეს,  
 ცემას მიწყებენ ქვეთაო,  
 თუმც არ მაწუხებს ტკივილი  
 ძალიან ვიცი კივილი.

ზარადა

(წამ. მისგანვე)

მანით და ონით დავიწყებ  
ამ პატარა ზარადასა;  
ბოლო ოლქის სახელია  
სძევს ალაზნის გაღმა მხარსა.  
მრთელი ყურძნის წვენი არის,  
კაცს აძლევს ღონეს და ჯანსა.  
მაგრამ კი თუ მოიქარბე  
მოგკლავს, გამოგიღვეს ძალას.

*Handwritten signature*

ა მ მ ხ ა ნ ა

□ □ □ □ □ □ □ □

ამ ცხრა წუმწუმისაგან გააკეთეთ სამი  
თანასწორი ოთხკუთხი.

სახუმარო ამოცანა

აიღეთ რიცხვი 24 და 4. ერთმანერთს  
მიუმატეთ 24 და 4.—რას მიიღებთ?

აკროსტიხი

(წამოდგენალი მ. ჯეჯაშვილისგან)

ომი, ბრძოლა, შუღლი, შური ავსულობა, კაცთა გმობა,  
ქვეყნათ მისგან დათარეშობს, არ არსებობს მტკიცე ძმობა.  
რა ერთობა? მან მოგვისპო სიხარული თანაგრძობა,  
ოჰ, სიცოცხლეს შევწირავდი, რომ შემეძლოს მის გაქრობა!..



(წარმ. მისგანვე)

შავ—ბნელით მოვლინებული, შეეპარება კაცის გულს, უშლის ძმობას და ერთობას, სასიქადულო სიყვარულს. რა ქვემძრომიო, ჩუმია, მისგან ბევრს ვნახავთ დაჩაგრულს, იმის ამყოლი სულდგმული, ვერ ეღირსება სიხარულს.



სამართლიანი მსაჯული ასე მოიქცა: ნათხოვრათ მოაყვინა ერთი აქლემი. ისე რომ სულ 18 აქლემი ვახდა. ნახევარი ამ აქლემებისა ე. ი. 9 აქლემი მისცა უფროსს მემკვიდრეს. მესამედი, 6 აქლემი, გადასცა მეორე მემკვიდრეს. და უნცროს ორი აქლემი დარჩა. სულ 17 აქლემი დაურიგა. და ნათხოვარი აქლემი ისევ პატრონს დაუბრუნა.

ეს ამოცანა ახსნა ხონის სემინარიის ორ კლასიან სასწავლებლის მოწაფემ ვასილ მელქაძემ.

რედაქტორ-გამომცემელი ან.-წერეთლისა.

*მისივე წილ*

*უაჩი უადა*

*Handwritten signatures and notes in purple ink, including a circular stamp.*

საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი



„ჯეჯილი“

წელიწადი მეჩვიდმეტე

გამოვა 1906 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი დღეის იქით გამოვა უცენზუროთ და ეცდება დააკმაყოფილოს ახალი სკოლის მოთხოვნილება.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს ჯეჯილის ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შექმლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა-და-სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისის გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возле Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

0000



დავით აღმაშენებლის ძეგლი

1911 წლის

1911

დავით აღმაშენებლის ძეგლი